

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი		საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები , არსებობის შემთხვევაში:				
2011 წლის 5 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011/35/EU დირექტივა „საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების შერწყმის შესახებ“ ¹		№1. საქართველოს კანონის პროექტი „მეწარმეთა შესახებ“ №2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი №3. საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“.				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	N	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისი	შენიშვნები
1	1. წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული კოორდინაციის ზომები ვრცელდება წევრი სახელმწიფოების კანონებზე, რეგულაციებსა და ადმინისტრაციულ დებულებებზე შემდეგი ტიპის კომპანიებთან დაკავშირებით: – ბელგია: – la société anonyme/de naamloze vennootschap, – ბულგარეთი: – акционерно дружество, – ჩეხეთის რესპუბლიკა: – akciová společnost, – დანია: – aktieselskaber, – გერმანია: – die Aktiengesellschaft, – ესტონეთი: – aktsiaselts, – ირლანდია: – შეზღუდული პასუხისმგებლობის ღია საჯარო კომპანიები და სააქციო კაპიტალის	№1 №1	1.1 2.3	ეს კანონი განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილების მქონე იურიდიული პირის დაფუძნების პროცედურებს, არსებობის ფორმებსა და მათი არსებობის პროცესში ამავე სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საკითხებს. მეწარმეობა შესაძლებელია ხორციელდებოდეს ინდივიდუალური მეწარმის ან სამეწარმეო საზოგადოების ფორმით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი წარმოადგენენ სამეწარმეო საზოგადოებებს.	წმ	დირექტივის მოქმედება ვრცელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიებზე, რომლის ეკვივალენტიც საქართველოს კანონმდებლობით არის სს, თუმცა დირექტივის ზოგიერთი მუხლის მოთხოვნა კანონპროექტით ვრცელდება არა მხოლოდ სს-ზე, არამედ ყველა სხვა ტიპის სამეწარმეო საზოგადოებაზე.

¹ ასოცირების შესახებ შეთანხმების XXVIII დანართით გვევალება 78/85/EEC დირექტივის შესრულება, თუმცა ცხრილის შედგენისას გამოყენებულია 2011/35/EU დირექტივა (კონსოლიდირებული ვერსია 02/07/2014-ის მდგომარეობით), რომელიც აუქმებს მას. აღსანიშნავია, რომ არ იცვლება ძველი დირექტივის შინაარსი, ამიტომ არ წარმოიშობა რაიმე პრობლემა დინამიური დაახლოების ჭრილში. თავის მხრივ, 2011/35/EU დირექტივა გაუქმებულია EU 2017/1132 დირექტივით, თუმცა არც ამ შემთხვევაში იცვლება მისი შინაარსი.

	მქონე, შეზღუდული გარანტიის საჯარო კომპანიები, - საბერძნეთი: - ανώνυμη εταιρία, - ესპანეთი: - la sociedad anónima, - საფრანგეთი: - la société anonyme, - ხორვატია - dioničko društvo - იტალია: - la società per azioni, - კვიპროსი: - Δημόσιες εταιρείες περιορισμένης ευθύνης με μετοχές, δημόσιες εταιρείες περιορισμένης ευθύνης με εγγύηση που διαθέτουν μετοχικό κεφάλαιο, - ლატვია: - akciju sabiedrība, - ლიეტუვა: - akcinė bendrovė, - ლუქსემბურგი: - la société anonyme, - უნგრეთი: - részvénytársaság, - მალტა: - kumpannija pubblika/public limited liability company, kumpannija privata/private limited liability company, - ნიდერლანდები: - de naamloze vennootschap,					
--	--	--	--	--	--	--

	- julkinen osakeyhtiö/publikt aktiebolag, - შვედეთი: - aktiebolag, - დიდი ბრიტანეთი: - აქციებით შეზღუდული საჯარო კომპანიები და სააქციო კაპიტალის მქონე, გარანტიით შეზღუდული საჯარო კომპანიები.					
	2. წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა გამოიყენონ წინამდებარე დირექტივა იმ კოოპერატივების მიმართ, რომლებიც დაფუძნებულნი არიან პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ერთ-ერთი ტიპის კომპანიის სახით. იმდენად, რამდენადაც წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა იძლევა ამ ალტერნატივის გამოყენების საშუალებას, მათ ამ კომპანიებს უნდა მოსთხოვონ სიტყვის „კოოპერატიული“ გამოყენება დირექტივის 2009/101/EC მე-5 მუხლში მითითებულ ყველა დოკუმენტში.				ას	დირექტივის აღნიშნულ დებულებას აქვს ალტერნატიული ხასიათი. საქართველო ამ ალტერნატივას არ იყენებს.

	3. წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა გამოიყენონ წინამდებარე დირექტივა იმ შემთხვევებში, როცა ის კომპანიას კომპანიები, რომელთა შეძენა მიმდინარეობს, ან რომლებიც შეწყვეტენ არსებობას, ექვემდებარებიან გაკოტრებასთან დაკავშირებულ საქმის წარმოებას, საქმის წარმოებას, რომელიც დაკავშირებულია გადახდისუუნარო კომპანიების ლიკვიდაციის პროცესთან, სასამართლოს გზით ურთიერთობის დარღვევების პროცესს, კრედიტორთა შორის შეთანხმებას და ანალოგიურ საქმისწარმოებას.	№3	4	1. ეს კანონი აწესრიგებს შემდეგი სუბიექტების გადახდისუუნარობის საკითხს: ა) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტი, გარდა ინდივიდუალური მეწარმისა; ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება), ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა); გ) უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი და სხვა წარმონაქმნი (მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას იურიდიული პირის სტატუსი), რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს და რომლის მთავარი ინტერესების ცენტრი საქართველოშია. 2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება: ა) ფიზიკური პირის გადახდისუუნარობაზე; ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის გადახდისუუნარობაზე; გ) კომერციულ ბანკზე, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაზე, სადაზღვევო კომპანიასა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტზე, რომელთა გადახდისუუნარობის საკითხსაც სპეციალური კანონმდებლობა აწესრიგებს. 3. „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ურთიერთგაქვითვის შეთანხმების ან ფინანსური გირავნობის მონაწილე პირის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ხორციელდება ამ კანონისა და „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონის სპეციალური დებულებების გათვალისწინებით.	სშ	გადახდისუუნარო კომპანიების ლიკვიდაციის პროცესს არეგულირებს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი
	4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეს დირექტივა არ გამოიყენონ კომპანიის ან იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც არიან რეზოლუციის ინსტრუმენტების, ძალების და მექანიზმების სუბიექტები ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2014/59/EU დირექტივის მეოთხე თავის შესაბამისად.	№1	78	ამ კანონის 67-ე-77-ე მუხლები არ ვრცელდება იმ საწარმოების მიმართ, რომელთა მიმართაც დაწყებულია რეაბილიტაციის საქმის წარმოება.	სშ	
2	წევრმა სახელმწიფოებმა, თავიანთი ეროვნული კანონმდებლობით რეგულირებულ კომპანიებთან დაკავშირებით, უნდა შემოიღონ ისეთი წესები, რომლებიც ვრცელდება სხვა კომპანიის მიერ ერთი ან მეტი კომპანიის შეძენის მეთოდით შერწყმაზე და შერწყმაზე ახალი კომპანიის ფორმირების მეთოდით.	№1	67.1	ერთი ან მეტი სამეწარმეო საზოგადოება (შემდგომ - მიერთებული სამეწარმეო საზოგადოება), ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე, შეიძლება მიუერთდეს სხვა სამეწარმეო საზოგადოებას (შემდგომ - შემძენი სამეწარმეო საზოგადოება) ამ უკანასკნელისათვის თავისი აქტივებისა და ვალდებულებების სრულად	სშ	

				გადაცემის გზით, რის სანაცვლოდაც მიერთებული სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორები მიიღებენ წილებს შემდგომ სამეწარმეო საზოგადოებაში.		
		№1	67.2	ორი ან მეტი სამეწარმეო საზოგადოება (შემდგომ - გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებები), ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე, შეიძლება გაერთიანდეს ახალი სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნების გზით (შემდგომ - გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოება), რომელსაც კანონის ძალით გადაეცემა გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებების მთელი აქტივები და ვალდებულებები, რის სანაცვლოდაც გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებების პარტნიორები მიიღებენ წილებს გაერთიანებულ სამეწარმეო საზოგადოებაში. აქტივების გადაცემა და ვალდებულებების გადასვლა		

				ძალაში შედის ამ კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით ან მე-4 მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.		
3.1	წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, „შერწყმა შეძენის მეთოდით“ ნიშნავს ოპერაციას, როდესაც ერთი ან მეტი კომპანია წყვეტს ბიზნეს საქმიანობას და ვალდებულებები წყდება, თუმცა არ მიდის ლიკვიდაციამდე, ხოლო ყველა მის აქტივსა და ვალდებულებას გადასცემს სხვას, შესაძენი კომპანიის ან კომპანიების აქციონერებისთვის, შემძენ კომპანიაში არსებული აქციების გაცემისა და ნაღდი ანგარიშსწორების სანაცვლოდ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც არ აღემატება ამ ფორმით გაცემული აქციების ნომინალური ღირებულების 10%-ს, ან იმ შემთხვევაში, როცა მათ ნომინალური ღირებულება არ გააჩნიათ, მათი ნომინალური ღირებულების აღრიცხვის 10%-ს.	№1	67.1	ერთი ან მეტი სამეწარმეო საზოგადოება (შემდგომ - მიერთებული სამეწარმეო საზოგადოება), ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე, შეიძლება მიუერთდეს სხვა სამეწარმეო საზოგადოებას (შემდგომ - შემძენი სამეწარმეო საზოგადოება) ამ უკანასკნელისათვის თავისი აქტივებისა და ვალდებულებების სრულად გადაცემის გზით, რის სანაცვლოდაც მიერთებული სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორები მიიღებენ წილებს შემძენ სამეწარმეო საზოგადოებაში.	სშ	
		№1	67.5	ამ მუხლის პირველ-მე-4 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში, გაერთიანებულ/შემძენ სამეწარმეო საზოგადოებაში ყოფილი სამეწარმეო საზოგადოების/საზოგადოებების პარტნიორებს წილების მიღების გარდა, აქვთ უფლება, მიიღონ შესაბამისი ფულადი ანაზღაურება, თუ შემძლებელია წილების გაცვლის თანაფარდობის დაცვა. სააქციო საზოგადოების შემთხვევაში, ფულადი ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს შერწყმის/გაყოფის მიზნებისთვის პარტნიორებზე გასაცემი წილების ნომინალური ღირებულების 10 პროცენტს, ხოლო თუ წილებს არ აქვთ ნომინალური ღირებულება, ამ კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების 10 პროცენტს.		
3.2	წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობაში შეიძლება იყოს პირობა, როცა შეძენის მეთოდით შერწყმაზე ზემოქმედება შეიძლება აგრეთვე იქონიოს იმან, როდესაც ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება ერთი ან მეტი შესაძენი კომპანია, თუ ეს ალტერნატივა შემოიფარგლება იმ კომპანიებით, რომლებსაც თავიანთი აქციონერებისთვის ჯერ არ დაუწყიათ საკუთარი აქტივების განაწილება.	№1	67.7	შერწყმა/გაყოფა შეიძლება განხორციელდეს დაშლილი სამეწარმეო საზოგადოებების მიმართაც, იმ შემთხვევაში, თუ არ დაწყებულა სამეწარმეო საზოგადოების ქონების განაწილება პარტნიორებზე.	სშ	
4.1	წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, „ახალი კომპანიის ფორმირების მეთოდით შერწყმა“ ნიშნავს ოპერაციას, როდესაც რამოდენიმე კომპანია წყვეტს	№1	67.2	ორი ან მეტი სამეწარმეო საზოგადოება (შემდგომ - გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებები), ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე,	სშ	

	ბიზნეს საქმიანობას და მათი ვალდებულებები წყდება, თუმცა არ მიდის ლიკვიდაციამდე და ისინი გადასცემენ მათ მიერ შექმნილ კომპანიას ყველა მათ აქტივსა და ვალდებულებას, თავიანთ აქციონერებზე ამ ახალ კომპანიაში არსებული აქციების გაცემის და ნაღდი ანგარიშსწორების სანაცვლოდ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც არ აღემატება ამ ფორმით გაცემული აქციების ნომინალური ღირებულების 10%-ს, ან იმ შემთხვევაში, როცა მათ ნომინალური ღირებულება არ გააჩნიათ, მათი ნომინალური ღირებულების აღრიცხვის 10%-ს.	№1	67.5	შეიძლება გაერთიანდეს ახალი სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნების გზით (შემდგომ - გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოება), რომელსაც კანონის ძალით გადაეცემა გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებების მთელი აქტივები და ვალდებულებები, რის სანაცვლოდაც გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებების პარტნიორები მიიღებენ წილებს გაერთიანებულ სამეწარმეო საზოგადოებაში. აქტივების გადაცემა და ვალდებულებების გადასვლა ძალაში შედის ამ კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით ან მე-4-მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად. ამ მუხლის პირველ-მე-4 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში, გაერთიანებულ/შემძენ სამეწარმეო საზოგადოებაში ყოფილი სამეწარმეო საზოგადოების/საზოგადოებების პარტნიორებს წილების მიღების გარდა, აქვთ უფლება, მიიღონ შესაბამისი ფულადი ანაზღაურება, თუ შეუძლებელია წილების გაცვლის თანაფარდობის დაცვა. სააქციო საზოგადოების შემთხვევაში, ფულადი ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს შერწყმის/გაყოფის მიზნებისთვის პარტნიორებზე გასაცემი წილების ნომინალური ღირებულების 10 პროცენტს, ხოლო თუ წილებს არ აქვთ ნომინალური ღირებულება, ამ კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების 10 პროცენტს.		
4.2	წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობაში შეიძლება იყოს პირობა, რომ ახალი კომპანიის ფორმირების მეთოდით შერწყმაზე შეიძლება ზემოქმედება იქონიოს იმ შემთხვევაში, როცა ერთი ან მეტი კომპანია, რომლებიც არსებობას წყვეტენ, ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება, თუ ეს ალტერნატივა შემოიფარგლება იმ კომპანიებით, რომლებსაც თავიანთი აქციონერებისთვის ჯერ არ დაუწყიათ საკუთარი აქტივების განაწილება.	№1	67.7	შერწყმა/გაყოფა შეიძლება განხორციელდეს დაშლილი სამეწარმეო საზოგადოებების მიმართაც, იმ შემთხვევაში, თუ არ დაწყებულა სამეწარმეო საზოგადოების ქონების განაწილება პარტნიორებზე.	სშ	
5.1	შერწყმაში მონაწილე კომპანიების ადმინისტრაციულმა ან მმართველმა ორგანოებმა	№1	69.1	შერწყმის შემთხვევაში, შერწყმაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანოები, შეძენით გაყოფის	სშ	

	წერილობითი ფორმით უნდა შეადგინონ შერწყმის წინასწარი პირობები.			შემთხვევაში გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოებისა და შემძენი სამეწარმეო საზოგადოებების ხელმძღვანელობაზე უფლების მქონე ორგანოები, ხოლო დაფუძნებით გაყოფის შემთხვევაში - გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოებების ხელმძღვანელი ორგანო შეიმუშავენ შერწყმის/გაყოფის გეგმას. გეგმა ითვალისწინებს შერწყმის/გაყოფის პირობებს.		
5.2	შერწყმის წინასწარ პირობებში, სულ მცირე, მოცემული უნდა იყოს შემდეგი: (ა) შერწყმაში მონაწილე თითოეული კომპანიის ტიპი, სახელწოდება დარეგისტრირებული ოფისი;	№1	69.2. „ა“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: ა) შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ასევე მისი და ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივ ფორმას, საფირმო სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს;	სშ	
	(ბ) წილთა გაცვლითი თანაფარდობა და ნებისმიერი ნაღდი ანგარიშსწორების თანხა;	№1	69.2. „ბ“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: ბ) წილების გადაცვლის თანაფარდობას და 67-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ფულადი ანაზღაურების ოდენობას, თუ ასეთი ანაზღაურება გამოიყენება;	სშ	
	(ც) შემძენ კომპანიაში წილთა განაწილებასთან დაკავშირებული პირობები;	№1	69.2. „გ“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: გ) შემძენ/ახლად დაფუძნებულ სამეწარმეო საზოგადოებებში წილების გაცემასთან დაკავშირებულ პირობებს;	სშ	
	(დ) ის თარიღი, საიდანაც ამ აქციების ფლობა მფლობელებს ანიჭებს უფლებამოსილებას, მონაწილეობა მიიღონ მოგებაში და იმ ნებისმიერ სპეციალურ პირობებს, რომლებიც მოქმედებენ ამ უფლებამოსილებაზე;	№1	69.2. „დ“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: დ) თარიღს, რომლის დადგომიდანაც ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული წილები უფლებას ანიჭებს მათ მფლობელებს მონაწილეობა მიიღონ სამეწარმეო საზოგადოების მოგებაში; აგრეთვე, ასეთის არსებობის შემთხვევაში - სპეციალურ პირობას, რომელიც ზეგავლენას ახდენს აღნიშნულ უფლებაზე;	სშ	
	(ე) ის თარიღი, საიდანაც შესაძენი კომპანიის გარიგებები, ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის, მიჩნეულ უნდა იქნეს, როგორც შემძენი კომპანიის გარიგებები;	№1	69.2. „ე“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: ე) თარიღს, რომლის დადგომიდანაც შერწყმული/გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების გარიგებები, ბუღალტრული მიზნებისათვის, ჩაითვლება გაერთიანებული/შემძენი/ახლად	სშ	

				დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოების გარიგებებზე;		
	(f) შემენი კომპანიის მიერ იმ აქციების მფლობელებისთვის გადაცემული უფლებები, რომლებზეც მიზნულია განსაკუთრებული უფლებები და ფასიანი ქაღალდების, გარდა აქციებისა, მფლობელებისთვის გადაცემული უფლებები, ან მათთან დაკავშირებით შეთავაზებული ზომები;	№1	69.2. „ვ“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: ვ) უფლებებს, რომლებსაც გაერთიანებული/შემენი/ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოება ანიჭებს შერწყმული/გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების წილების/აქციების (გარდა ჩვეულებრივი აქციებისა) მფლობელებს, ასევე იმ პარტნიორებს, რომელთა წილებს/აქციებს განსაკუთრებული უფლებები ჰქონდა მინიჭებული და სხვა ფასიანი ქაღალდების მფლობელებს ან ამ პირთა მიმართ შეთავაზებულ ზომებს;	სშ	
	(g) ნებისმიერი განსაკუთრებული უპირატესობა, რომელიც მინიჭებულია 10(1)-ე მუხლში მითითებული ექსპერტებისთვის და შერწყმაში მონაწილე კომპანიების ადმინისტრაციული, მმართველობითი, სახედაშედეგო ან მაკონტროლებელი ორგანოების წევრებისთვის.	№1	69.2. „ზ“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: ზ) ყველა სარგებელს, რომელიც ენიჭებათ შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე რომელიმე სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, პარტნიორებს ან დამოუკიდებელ აუდიტორს;	სშ	
6	შერწყმის წინასწარი პირობები უნდა გამოქვეყნდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრული მეთოდით, დირექტივის 2009/101/EC მე-3 მუხლის შესაბამისად, შერწყმაში მონაწილე თითოეული კომპანიისთვის, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად აქციონერთა საერთო კრებისთვის დადგენილ თარიღამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე. შერწყმაში მონაწილე ნებისმიერი კომპანია უნდა განთავისუფლდეს დირექტივის 2009/101/EC მე-3 მუხლში განსაზღვრული გამოქვეყნების მოთხოვნისგან, თუ, იმ უწყვეტი პერიოდისთვის, რომელიც იწყება გადაწყვეტილების მისაღებად აქციონერთა კრებისთვის დადგენილ თარიღამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე და მთავრდება არაუადრეს ამ კრების დასრულებისა, ის შეიმუშავებს ასეთი შერწყმის წინასწარ პირობებს, რომლებიც საზოგადოებისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი იქნება საკუთარ ვებ-გვერდზე. წევრმა სახელმწიფოებმა აღნიშნული განთავისუფლება არ უნდა დაუქვემდებარონ რაიმე მოთხოვნას ან შეზღუდვას, გარდა იმ მოთხოვნისა ან შეზღუდვისა, რომელიც აუცილებელია ვებგვერდის უსაფრთხოებისა და დოკუმენტების ნამდვილობის უზრუნველსაყოფად	№1	71.1	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, გამოაქვეყნოს შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი ან განათავსოს ის სამეწარმეო საზოგადოების ვებგვერდზე პარტნიორთა კრების იმ სხდომამდე 30 დღის განმავლობაში, რომელზეც უნდა დამტკიცდეს შერწყმის/გაყოფის გეგმა. შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფასოდ.	სშ	

	და მათ უფლება აქვთ ეს მოთხოვნები ან შეზღუდვები დააწესონ მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც საკმარისი იქნება ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად.				
	ამ მუხლის მეორე აბზაციდან გამონაკლისის სახით, წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, მოითხოვონ გამოქვეყნების განხორციელება დირექტივის 2009/101/EC 3(5)-ე მუხლში მითითებული ცენტრალური ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, ალტერნატიულად მოითხოვონ ამ გამოქვეყნების განხორციელება მათ მიერ ამ მიზნით გამოყოფილ ნებისმიერ სხვა ვებგვერდზე. იმ შემთხვევაში, როცა წევრი სახელმწიფოები სარგებლობენ ერთ-ერთი ამ შესაძლებლობით, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ კომპანიებს არ დაეკისროთ რაიმე სპეციალური გადასახადი ამ გამოქვეყნებისთვის.			ას	სახელმწიფოებს არ აქვთ აღნიშნული აბზაცის გაზიარების ვალდებულება, რადგან დებულება არაიმპერატიული ხასიათისაა.
	იმ შემთხვევაში, როცა გამოიყენება ვებგვერდი, გარდა ცენტრალური ელექტრონული პლატფორმისა, აღნიშნულ ვებგვერდზე წვდომის შესახებ მითითება უნდა გამოქვეყნდეს ცენტრალურ ელექტრონულ პლატფორმაზე საერთო კრებისთვის დადგენილ დღემდე სულ მცირე ერთი თვით ადრე. ამ მითითებაში უნდა შევიდეს შერწყმის წინასწარი პირობების ვებგვერდზე გამოქვეყნების თარიღი და ის საზოგადოებისთვის უფასოდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი. კომპანიებს ამ გამოქვეყნებისთვის სპეციალური გადასახადი არ უნდა დაეკისროთ.			ას	ცენტრალურ ელექტრონულ პლატფორმაზე წვდომა აქვთ მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს.
	მესამე და მეოთხე აბზაცებში მოცემულმა იმ აკრძალვამ, რომელიც ხელს უშლის კომპანიებისთვის გამოქვეყნების სპეციალური საფასურის დაწესებას, გავლენა არ უნდა მოახდინოს წევრი სახელმწიფოების უნარზე, კომპანიებს გადასცენ ცენტრალურ ელექტრონულ პლატფორმასთან დაკავშირებული ხარჯები.			ას	ცენტრალურ ელექტრონულ პლატფორმაზე წვდომა აქვთ მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს.
	წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, კომპანიებისგან მოითხოვონ, რომ საერთო კრების შემდეგ, საკუთარ ვებგვერდზე შეინახონ ინფორმაცია განსაკუთრებული პერიოდის განმავლობაში, ან, სადაც ეს შესაძლებელია, ცენტრალურ ელექტრონულ			ას	სახელმწიფოებს არ აქვთ აღნიშნული აბზაცის გაზიარების ვალდებულება, რადგან დებულება არაიმპერატიული ხასიათისაა.

	პლატფორმაზე, ან შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ სხვა ვებგვერდზე. წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ ვებგვერდზე ან ცენტრალურ ელექტრონულ პლატფორმაზე, ტექნიკური ან სხვა ფაქტორებით გამოწვეული წვდომის დროებითი შეფერხების შედეგები.					
7.1	შერწყმა, როგორც მინიმუმ, საჭიროებს შერწყმაში მონაწილე თითოეული კომპანიის აქციონერთა კრების თანხმობას. წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს, რომ ამ თანხმობის შესახებ გადაწყვეტილებისთვის საჭიროა ხმათა უმრავლესობის არანაკლებ ორი მესამედი რომლებიც მიზნულია აქციებზე, ან გამოწერით გამოშვებულ სააქციო კაპიტალზე.	№1	68.1	გადაწყვეტილებას შერწყმის/გაყოფის შესახებ იღებს შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთა კრება.	სშ	
	თუმცა, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ პირველ აზნაცში აღნიშნული ხმათა უბრალო უმრავლესობა საკმარისია იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილია გამოწერით გამოშვებული სააქციო კაპიტალის სულ მცირე, ნახევარი. ამის გარდა, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სადამფუძნებლო ხელშეკრულებასა და წესდებაში ცვლილებების შეტანის მარეგულირებელი წესები.	№1	68.3	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის/გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმების 3/4-ის უმრავლესობით, სხვა შემთხვევებში კი - ყველა პარტნიორის მიერ ერთხმად. თუ შერწყმის/გაყოფის მონაწილე სააქციო საზოგადოებას გამოშვებული აქვს სხვადასხვა კლასის აქციები, გადაწყვეტილებას კენჭი ეყრება აქციათა ყველა კლასის მფლობელთათვის ცალ-ცალკე, თუ მათ უფლებებზე გავლენას ახდენს შერწყმის/გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება.	სშ	
	თუმცა, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ პირველ აზნაცში აღნიშნული ხმათა უბრალო უმრავლესობა საკმარისია იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილია გამოწერით გამოშვებული სააქციო კაპიტალის სულ მცირე, ნახევარი. ამის გარდა, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სადამფუძნებლო ხელშეკრულებასა და წესდებაში ცვლილებების შეტანის მარეგულირებელი წესები.				ას	სახელმწიფოებს არ აქვთ აღნიშნული აზნაცის გაზიარების ვალდებულება, რადგან დებულება არაიმპერატიული ხასიათისაა.
7.2	იმ შემთხვევაში, როცა არსებობს აქციათა ერთ კლასზე მეტი, შერწყმის შესახებ გადაწყვეტილება უნდა დაექვემდებაროს ცალკე ხმის მიცემას, სულ მცირე, თითოეული კლასის აქციების მფლობელი აქციონერების მიერ, რომელთა უფლებებზეც ეს გარიგება ახდენს გავლენას.	№1	68.3	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის/გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმების 3/4-ის უმრავლესობით, სხვა შემთხვევებში კი - ყველა პარტნიორის მიერ ერთხმად. თუ შერწყმის/გაყოფის მონაწილე სააქციო საზოგადოებას გამოშვებული აქვს სხვადასხვა კლასის აქციები, გადაწყვეტილებას კენჭი ეყრება აქციათა ყველა კლასის მფლობელთათვის	სშ	

				ცალ-ცალკე, თუ მათ უფლებებზე გავლენას ახდენს შერწყმის/გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება.		
7.3	გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს როგორც შერწყმის წინასწარი პირობების დამტკიცება, ისე სადამფუძნებლო ხელშეკრულებასა და წესდებაში შეტანილი ის ნებისმიერი ცვლილება, რომლის შეტანა აუცილებელი გახდა შერწყმის შედეგად.	№1	73.1	შერწყმის/გაყოფის გეგმას ამტკიცებს პარტნიორთა კრება 66-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. პარტნიორთა კრების მიერ შერწყმის/გაყოფის გეგმის დამტკიცების შემთხვევაში გადაწყვეტილება შერწყმის/გაყოფის შესახებ მიღებულად ითვლება.	სშ	
8	წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, შერწყმისთვის შემძენი კომპანიის აქციონერთა საერთო კრების თანხმობა არ მოითხოვება, თუ სრულდება შემდეგი პირობები: (a) მე-6 მუხლით გათვალისწინებული გამოქვეყნება შემძენი კომპანიისთვის უნდა განხორციელდეს შერწყმის წინასწარი პირობების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შესაძენი კომპანიის ან კომპანიების საერთო კრებისთვის დადგენილ თარიღამდე სულ მცირე 1 თვით ადრე; (b) (a) პუნქტში მოცემულ თარიღამდე სულ მცირე 1 თვით ადრე, შემძენი კომპანიის ყველა აქციონერს უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, შეამოწმოს 11(1) მუხლში მითითებული დოკუმენტები შემძენი კომპანიის რეგისტრირებულ ოფისში; (c) შემძენი კომპანიის იმ ერთ ან მეტ აქციონერს, რომელიც ფლობს გამოწერით გამოშვებული სააქციო კაპიტალის მინიმალურ პროცენტს, უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება მოითხოვოს, რომ მოწვეულ იქნეს შემძენი კომპანიის აქციონერთა კრება, რომელზეც მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება შერწყმის დამტკიცებასთან დაკავშირებით; ეს მინიმალური პროცენტი არ უნდა განისაზღვროს 5%-ზე მაღალი პროცენტის ოდენობით. თუმცა, წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, გაითვალისწინონ წინამდებარე გაანგარიშებიდან ხმის უფლების არმქონე აქციების გამორიცხვა. პირველი აბზაცის (b) პუნქტის მიზნებისთვის, გამოიყენება 11(2)(3)(4)-ე მუხლი.	№1 №1	71.1 71.2	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, გამოაქვეყნოს შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი ან განათავსოს ის სამეწარმეო საზოგადოების ვებგვერდზე პარტნიორთა კრების იმ სხდომამდე 30 დღის განმავლობაში, რომელზეც უნდა დამტკიცდეს შერწყმის/გაყოფის გეგმა. შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფასოდ. შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: ა) შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი; ბ) შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების ბოლო 3 წლის ფინანსური ანგარიშგებები შესადარისობის პრინციპის დაცვით; გ) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილია შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის გამოქვეყნებამდე არაუადრეს მესამე თვის პირველ რიცხვში; სააქციო საზოგადოება თავისუფლდება ამ ვალდებულებისგან, თუ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს	სშ	

		№1	193.1	კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებული აქვს ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება; დ) შერწყმის/გაყოფის ანგარიში, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ე) დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში, ასეთის არსებობის შემთხვევაში; კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს კრების გამართვის თარიღამდე 14 დღით ადრე ხელმძღვანელი ორგანოსადმი წერილობითი მიმართებით: ა) მოითხოვოს პარტნიორთა კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაუერთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტები; ბ) პარტნიორთა კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე წარადგინოს მისაღები გადაწყვეტილების პროექტები და დასაბუთება.		
9.1	შერწყმაში მონაწილე თითოეული კომპანიის ადმინისტრაციულმა ან მმართველობითმა ორგანომ უნდა შეადგინოს დეტალური წერილობითი ანგარიში, რომელშიც განმარტებულია შერწყმის წინასწარი პირობები და მოცემულია მათი სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები, კერძოდ, წილთა გაცვლითი თანაფარდობა. ამ ანგარიშში აგრეთვე უნდა აღიწეროს შეფასებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი განსაკუთრებული სირთულე.	№1	70.1	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები ამზადებენ შერწყმის/გაყოფის ანგარიშს, რომელიც დეტალურად უნდა განმარტავდეს: ა) შერწყმის/გაყოფის გეგმის დებულებებს, მათ სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს; ბ) წილების გადაცვლის თანაფარდობის განსაზღვრის კრიტერიუმებსა და მეთოდებს, აგრეთვე გადაცვლის თანაფარდობის შეფასებისას წარმოშობილ სიძნელებებს, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა; გ) გაყოფის დროს, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციას ამ კანონის 166-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული არაფულადი შენატანის შესახებ, შემძენი სააქციო საზოგადოებებისთვის ანგარიშის მომზადების შესახებ და მითითებას მის რეგისტრაციაზე მარეგისტრირებელ ორგანოში.	სშ	
9.2	პროცესში მონაწილე თითოეული კომპანიის ადმინისტრაციულმა ან მმართველობითმა ორგანოებმა, საკუთარი კომპანიის აქციონერთა კრებას და პროცესში ჩართული დანარჩენი კომპანიების ადმინისტრაციულ ან მმართველობით ორგანოებს უნდა აცნობონ, რომ ამ უკანასკნელს	№1	71.3	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია პარტნიორთა კრებასა და შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს აცნობოს შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის მომზადების	სშ	

	უფლება აქვს, თავის შესაბამის აქციონერთა კრებებს აცნობოს აქტივებისა და ვალდებულებებში ნებისმიერი მატერიალური ცვლილების შესახებ, შერწყმის წინასწარი პირობების მომზადების თარიღსა და შერწყმის წინასწარი პირობების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის აქციონერთა კრებების თარიღს შორის პერიოდში.			თარიღიდან კრების ჩატარების თარიღამდე პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ.		
9.3	წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ განსაზღვრონ, რომ პირველ პუნქტში მითითებული ანგარიში ან/და მე-2 პუნქტში მითითებული ინფორმაცია, არ მოითხოვებოდეს, თუ ყველა აქციონერი და სხვა ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელი, რომლებიც ანიჭებენ ხმის მიცემის უფლებას იმ თითოეული კომპანიისთვის, რომელიც ჩართულია შერწყმის პროცესში, ასე შეთანხმდებიან.	№1	70.2	გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანგარიშის მომზადება არ არის სავალდებულო, თუ შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ყველა აქციონერი წერილობით უარს განაცხადებს ანგარიშის წარდგენაზე.	სშ	
10.1	შერწყმაში მონაწილე თითოეული კომპანიის სახელით მოქმედმა, მაგრამ მისგან დამოუკიდებელმა, სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დანიშნულმა ან დამტკიცებულმა ერთმა ან მეტმა ექსპერტმა უნდა შეისწავლოს შერწყმის წინასწარი პირობები და შეადგინოს აქციონერებისთვის წარსადგენი წერილობითი ანგარიში. თუმცა, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის დანიშვნა შერწყმაში მონაწილე ყველა კომპანიისთვის, თუ ამ დანიშვნას ახორციელებს სასამართლო, ან ადმინისტრაციული ორგანო, ამ კომპანიების ერთობლივი მოთხოვნით. თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, ეს ექსპერტები შეიძლება იყვნენ ფიზიკური ან იურიდიული პირები, ან კომპანიები ან ფირმები.	№1	72.1	თუ შერწყმაში/გაყოფაში მონაწილეობს სააქციო საზოგადოება, შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტს ამოწმებს შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე მხარეების მიერ შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორი. შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან მეტი საერთო აუდიტორი. აუდიტორი ამზადებს წერილობით დასკვნას პარტნიორებისთვის. დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შემოწმება და წერილობითი დასკვნის წარდგენა არ არის საჭირო, თუ ამაზე შეთანხმდება შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ყველა აქციონერი.	სშ	
10.2	პირველ პუნქტში ნახსენებ ანგარიშში, ექსპერტებმა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მიუთითონ, წილთა გაცვლითი თანაფარდობა, მათი შეხედულებით, სამართლიანი და გონივრულია თუ არა. მათ მითითებაში, სულ მცირე, უნდა:	№1	72.2. „ა“	დასკვნაში მოცემული უნდა იყოს დამოუკიდებელი აუდიტორის შეფასება, არის თუ არა გეგმის პროექტით გათვალისწინებული წილების გადაცვლის თანაფარდობა სამართლიანი და მიზანშეწონილი. დასკვნაში მოცემული უნდა იყოს:	სშ	

	(a) მიეთითოს გამოყენებული მეთოდ(ებ)ი შეთავაზებული წილთა გაცვლითი თანაფარდობის მისაღებად;			ა) გადაცვლის თანაფარდობის დადგენისთვის გამოყენებული მეთოდი;		
	(b) აღინიშნოს, ეს მეთოდი თუ მეთოდები ადეკვატურია თუ არა მოცემულ შემთხვევაში, მიეთითოს მიღებული მაჩვენებლები თითოეული ამ მეთოდის გამოყენებით და უზრუნველყოს მოსაზრება ამ მეთოდებისთვის მიწერილი შეფარდებითი მნიშვნელობის შესახებ, იმ მაჩვენებლის მისაღებად, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება. ამ ანგარიშში აგრეთვე უნდა აღიწეროს შეფასებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი განსაკუთრებული სირთულე.	№1	72.2. „ბ“	დასკვნაში მოცემული უნდა იყოს დამოუკიდებელი აუდიტორის შეფასება, არის თუ არა გეგმის პროექტით გათვალისწინებული წილების გადაცვლის თანაფარდობა სამართლიანი და მიზანშეწონილი. დასკვნაში მოცემული უნდა იყოს: ბ) შეფასებას, რამდენად არის გამოყენებული მეთოდი ადეკვატური მოცემული შემთხვევისათვის, რა თანაფარდობა დგინდება თითოეული მეთოდის გამოყენების შედეგად და, აგრეთვე, გადაცვლის თანაფარდობის დადგენისას თითოეული გამოყენებული მეთოდის ხვედრითი წილი;	სშ	
10.3	თითოეული ექსპერტი უნდა იყოს უფლებამოსილი, შერწყმაში მონაწილე კომპანიებისგან მოიპოვოს ყველა შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტი და ჩაატაროს ყველა აუცილებელი გამოძიება.	№1	72.3	დამოუკიდებელი აუდიტორი უფლებამოსილია სააქციო საზოგადოებისგან მიიღოს და გამოიკვლიოს ყველა საჭირო დოკუმენტი და ინფორმაცია.	სშ	
10.4	არ მოითხოვება არც შერწყმის წინასწარი პირობების შესწავლა, არც ექსპერტის ანგარიში, თუ შერწყმაში მონაწილე თითოეული კომპანიის ყველა აქციონერი და სხვა ფასიანი ქაღალდების ის მფლობელები, რომლებიც ხმის მიცემის უფლებას ანიჭებენ, ასე შეთანხმდებიან.	№1	72.1	თუ შერწყმაში/გაყოფაში მონაწილეობს სააქციო საზოგადოება, შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტს ამოწმებს შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე მხარეების მიერ შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორი. შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან მეტი საერთო აუდიტორი. აუდიტორი ამზადებს წერილობით დასკვნას პარტნიორებისთვის. დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შემოწმება და წერილობითი დასკვნის წარდგენა არ არის საჭირო, თუ ამაზე შეთანხმდება შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ყველა აქციონერი.	სშ	

11.1	ყველა აქციონერი უფლებამოსილია შეამოწმოს, სულ მცირე, შემდეგი დოკუმენტები, რეგისტრირებულ სამსახურში იმ აქციონერთა კრებისთვის დადგენილ თარიღამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე, რომელზეც უნდა გადაწყდეს შერწყმის წინასწარი პირობები: (ა) შერწყმის წინასწარი პირობები;	№1	71.2. „ა“	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: ა) შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი;	სშ	
	(ბ) შერწყმაში მონაწილე კომპანიების წლიური ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშები და წლიური ანგარიშგებები წინა სამი ფინანსური წლისთვის;	№1	71.2. „ბ“	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: ბ) შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების ბოლო 3 წლის ფინანსური ანგარიშგებები შესადარისობის პრინციპის დაცვით;	სშ	
	(ც) საჭიროების შემთხვევაში, იმ თარიღის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგება, რომელიც არ უნდა იყოს იმაზე ადრე, ვიდრე წინა სამი თვის პირველი დღისა, რომელიც წინ უსწრებს შერწყმის წინასწარი პირობების თარიღს, თუ ყველაზე ბოლო წლიური ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშები უკავშირდება იმ ფინანსურ წელს, რომელიც დასრულდა აღნიშნულ თარიღამდე 6 თვეზე მეტი ხნით ადრე;	№1	71.2. „გ“	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები:	სშ	

				გ) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილია შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის გამოქვეყნებამდე არაუადრეს მესამე თვის პირველ რიცხვში; სააქციო საზოგადოება თავისუფლდება ამ ვალდებულებისგან, თუ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებული აქვს ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება;		
(d) საჭიროების შემთხვევაში, მე-9 მუხლით გათვალისწინებული, შერწყმაში მონაწილე კომპანიების ადმინისტრაციული ან მმართველობითი ორგანოების ანგარიშები;	№1	71.2. „დ“	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: დ) შერწყმის/გაყოფის ანგარიში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;	სშ		
(e) საჭიროების შემთხვევაში, 10(1)-ე მუხლში მითითებული ანგარიში.	№1	71.2. „ე“	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: ე) დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.	სშ		
პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგება არ მოითხოვება, თუ კომპანია ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშს გამოაქვეყნებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 15 დეკემბრის დირექტივის 2004/109/EC მე-5 მუხლის შესაბამისად, რომელიც	№1	71.2. „გ“	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე	სშ		

	ეხება გამჭვირვალობის მოთხოვნების ჰარმონიზაციას იმ ემიტენტების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელთა ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ დაიშვება რეგულირებულ ბაზარზე და მას აქციონიერებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ამ აზზაცის მიხედვით. ამის გარდა, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება უზრუნველყონ, რომ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგება არ მოითხოვებოდეს, თუ შერწყმაში მონაწილე თითოეული კომპანიის ყველა აქციონერი და სხვა ფასიანი ქაღალდების მფლობელები, რომლებიც გადასცემენ საარჩევნო ხმის უფლებას, შეთანხმდებიან ასე.			ანდა მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: გ) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილია შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის გამოქვეყნებამდე არაუადრეს მესამე თვის პირველ რიცხვში; სააქციო საზოგადოება თავისუფლდება ამ ვალდებულებისგან, თუ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებული აქვს ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება;		
11.2	პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტის (c) ქვექვეპუნქტით გათვალისწინებული ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგება უნდა შედგეს ოგივე მეთოდებისა და სქემის გამოყენებით, როგორც ბოლო წლიური ბალანსი.	№1	71.2. „გ“	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: გ) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილია შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის გამოქვეყნებამდე არაუადრეს მესამე თვის პირველ რიცხვში; სააქციო საზოგადოება თავისუფლდება ამ ვალდებულებისგან, თუ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებული აქვს ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება;	სშ	
	თუმცა, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ: (a) აუცილებელი არაა, ახალი ფიზიკური ინვენტარიზაციის ჩატარება; (b) ბოლო ბალანსში წარმოდგენილი შეფასებები უნდა შეიცვალოს მხოლოდ იმისათვის,				ას	სახელმწიფოებს არ აქვთ აღნიშნული აზზაცის გაზიარების ვალდებულება, რადგან დებულება არაიმპერატიული ხასიათისაა.

	რათა მათში აისახოს საბუღალტრო წიგნებში შეტანილი მონაცემები; მიუხედავად ამისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები: - შუალედური ამორტიზაციის ხარჯები და რეზერვები, - რეალური ღირებულების ის არსებითი ცვლილებები, რომლებიც საბუღალტრო წიგნებში არაანაჩვენები.					
11.3	თითოეული აქციონერი უფლებამოსილია, მოთხოვნის შემთხვევაში და უფასოდ, მოიპოვოს პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტების სრული ან, ასეთი სურვილის შემთხვევაში, ნაწილობრივი ასლები. იმ შემთხვევაში, როცა აქციონერი თანახმაა ინფორმაციის გადასაცემად კომპანიის მიერ ელექტრონული საშუალებების გამოყენებაზე, ეს ასლები შეიძლება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით იქნეს მიწოდებული.	№1	71.2	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: ა) შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი; ბ) შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების ბოლო 3 წლის ფინანსური ანგარიშგებები შესადარისობის პრინციპის დაცვით; გ) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილია შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის გამოქვეყნებამდე არაუადრეს მესამე თვის პირველ რიცხვში; სააქციო საზოგადოება თავისუფლდება ამ ვალდებულებისგან, თუ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებული აქვს ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება; დ) შერწყმის/გაყოფის ანგარიში, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ე) დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.	სშ	
11.4	კომპანია უნდა გამოირიცხოს პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტების მის რეგისტრირებულ ოფისში ხელმისაწვდომობის მოთხოვნისგან, თუ, უწყვეტი პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება სულ მცირე ერთი თვით ადრე იმ დღემდე, რომელიც	№1	71.2	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის	სშ	

	ჩანიშნულია აქციონერთა კრებისთვის, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს შერწყმის წინასწარი პირობების შესახებ და რომელიც სრულდება არაუადრეს აღნიშნული კრების დასრულების თარიღზე ადრე, ის ამ დოკუმენტებს განათავსებს საკუთარ ვებ-გვერდზე. წევრმა სახელმწიფოებმა ეს გათავისუფლება არ უნდა დაუქვემდებარონ რაიმე მოთხოვნას ან შეზღუდვას, გარდა იმ მოთხოვნის ან შეზღუდვისა, რომელიც აუცილებელია ვებგვერდის უსაფრთხოების და დოკუმენტების ნამდვილობის უზრუნველსაყოფად და მათ შეუძლიათ დააწესონ ეს მოთხოვნები ან შეზღუდვები მხოლოდ იმ მოცულობით, რომლითაც ისინი თანახმოიერია ამ მიზნების მისაღწევად. მე-3 პუნქტი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ვებგვერდი, ამ პუნქტის პირველ ქვეპუნქტში მითითებული მთელი პერიოდის განმავლობაში, აქციონერებს აძლევს პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტების გადმოტვირთვისა და დაბეჭდვის შესაძლებლობას. თუმცა, ამ შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ განსაზღვრონ, რომ კომპანიამ ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომი გახადოს თავის რეგისტრირებულ ოფისში, აქციონერების მიერ კონსულტაციის მიზნით გამოსაყენებლად. წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, კომპანიებისგან მოითხოვონ ინფორმაციის საკუთარ ვებგვერდზე გარკვეული ვადით დატოვება აქციონერთა კრების შემდეგ. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაადგინონ ვებგვერდზე წვდომის დროებითი შეფერხების შედეგები, რაც გამოწვეულია ტექნიკური, ან სხვა ფაქტორების გამო.			შენიშვნაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: ა) შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი; ბ) შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების ბოლო 3 წლის ფინანსური ანგარიშგებები შესადარისობის პრინციპის დაცვით; გ) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილია შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის გამოქვეყნებამდე არაუადრეს მესამე თვის პირველ რიცხვში; სააქციო საზოგადოება თავისუფლდება ამ ვალდებულებისგან, თუ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებული აქვს ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება; დ) შერწყმის/გაყოფის ანგარიში, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ე) დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.	
12	შერწყმაში მონაწილე თითოეული კომპანიის თანამშრომელთა უფლებების დაცვა უნდა დარეგულირდეს დირექტივის 2001/23/EC შესაბამისად.				ას დასაქმებულების უფლებების დაცვა არ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის რეგულირების საგანს. გასათვალისწინებელია, რომ მე-12 მუხლში მითითებული 2001/23/EC დირექტივა ასოცირების შესახებ შეთანხმების XXX დანართის თანახმად უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წლის ვადაში. შესაბამისად, დასაქმებულთა უფლებების დაცვა ხორციელდება

						საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, რომლიც თავის მხრივ თანხვედრაშია მოცემულ მუხლში მითითებულ ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან.
13	1. წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით გათვალისწინებულ უნდა იქნეს შერწყმაში მონაწილე იმ კომპანიების კრედიტორთა ინტერესების დაცვის ადექვატური სისტემა, რომელთა მოთხოვნები თარიღით წინ უსწრებს შერწყმის წინასწარი პირობების გამოქვეყნებას და რომელთა შესრულების ვადა არ დამდგარა ამ გამოქვეყნების დროის. 2. ამ მიზნით, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით, როგორც მინიმუმ, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ამ კრედიტორებს უფლება ჰქონდეთ, მიიღონ სათანადო გარანტიები, თუ შერწყმაში მონაწილე კომპანიების ფინანსური მდგომარეობა ამ დაცვას აუცილებელს ხდის და თუ ამ კრედიტორებს ეს გარანტიები უკვე არ გააჩნიათ. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ პირველი პუნქტით და ამ პუნქტის პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაცვის პირობები. ნებისმიერ შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კრედიტორებს უფლება ჰქონდეთ, მიმართონ შესაბამის ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოს სათანადო გარანტიებისთვის იმ შემთხვევაში, თუ მათ დამაჯერებლად შეუძლიათ იმის დემონსტრირება, რომ შერწყმის გამო, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება კითხვის ნიშნის ქვეშაა და რომ კომპანიისგან რაიმე ადექვატური გარანტია არ მიუღიათ. 3. ეს დაცვა შეიძლება განსხვავდებოდეს შემძენი კომპანიისა და შესაძენი კომპანიის კრედიტორებისთვის.	№1	76.1	რეორგანიზაციაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების კრედიტორებს, რეორგანიზაციის რეგისტრაციიდან 3 თვის ვადაში, უფლება აქვთ მოითხოვონ სამეწარმეო საზოგადოებისგან მათი მოთხოვნების უზრუნველყოფა, თუკი დაამტკიცებენ, რომ რეორგანიზაცია საფრთხეს უქმნის მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მოთხოვნის უფლება აქვთ იმ კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნაც წარმოიშვა გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების ან შერწყმის/გაყოფის გეგმის გამოქვეყნებამდე.	სშ	
14	მათი უფლებების ერთობლივად განხორციელების მარეგულირებელი წესების შეუზღუდავად, მე-13 მუხლი გამოიყენება შერწყმაში მონაწილე კომპანიების ობლიგაციის მფლობელთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შერწყმა დამტკიცებულია ობლიგაციის მფლობელთა კრების	№1	76.1	რეორგანიზაციაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების კრედიტორებს, რეორგანიზაციის რეგისტრაციიდან 3 თვის ვადაში, უფლება აქვთ მოითხოვონ სამეწარმეო საზოგადოებისგან მათი მოთხოვნების უზრუნველყოფა, თუკი დაამტკიცებენ, რომ რეორგანიზაცია საფრთხეს უქმნის მათი	სშ	

	გამაფრთხილებელ ზედამხედველობას , ან როცა ეს ზედამხედველობა არ ვრცელდება შერწყმისთვის საჭირო ყველა სამართლებრივ აქტზე, აქციონერთა იმ კრებების ოქმები, რომლებზეც მიიღება გადაწყვეტილება შერწყმასთან დაკავშირებით, ხოლო სადაც შესაფერისია, შერწყმის შესახებ ხელშეკრულება აღნიშნულ აქციონერთა კრებების შემდეგ, უნდა შედგეს და დამოწმდეს სათანადო სამართლებრივი ფორმით. იმ შემთხვევებში, როცა შერწყმის დამტკიცება არ არის საჭირო შერწყმაში მონაწილე ყველა კომპანიის აქციონერთა კრებების მიერ, შერწყმის წინასწარი პირობები უნდა შედგეს და დამოწმდეს სათანადო სამართლებრივი ფორმით. 2. სათანადო სამართლებრივი ფორმით დოკუმენტის შედგენისა და დამოწმების უფლებამოსილების მქონე ნოტარიუსმა ან ორგანომ უნდა შეამოწმოს და დაამოწმოს იმ სამართლებრივი აქტებისა და ოფიციალური პროცედურების არსებობა და ნამდვილობა, რომლებიც მოითხოვება კომპანიისგან, რომლისთვისაც მოქმედებს აღნიშნული ნოტარიუსი თუ ორგანო, ასევე შეამოწმოს და დაამოწმოს შერწყმის წინასწარი პირობების არსებობა და ნამდვილობა.					მოითხოვება დოკუმენტების შედგენის და დამოწმების განსხვავებული ფორმა.
17	წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს ის თარიღი, როდესაც შერწყმა იქნეს იურიდიულ ძალას.	№1	75.4	შერწყმა/გაყოფა ძალაში შედის მისი რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაციის შემდეგ დაუშვებელია შერწყმის/გაყოფის შესახებ საზოგადოების გადაწყვეტილების ბათილობაზე მითითება.	სშ	
18	1. შერწყმის შესახებ ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრული მეთოდით, დირექტივის 2009/101/EC მე-3 მუხლის შესაბამისად, შერწყმაში მონაწილე თითოეულ კომპანიასთან მიმართებით. 2. შემდგომ კომპანიას უფლება აქვს, თავად განახორციელოს გასაჯაროებასთან დაკავშირებული ოფიციალური პროცედურები, რომლებიც დაკავშირებულია შესაძენ კომპანიასთან ან კომპანიებთან.	№1	75.4	შერწყმა/გაყოფა ძალაში შედის მისი რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაციის შემდეგ დაუშვებელია შერწყმის/გაყოფის შესახებ საზოგადოების გადაწყვეტილების ბათილობაზე მითითება.	სშ	

19.1	შერწყმას უნდა ჰქონდეს შემდეგი შედეგები კანონის ძალით და ერთდროულად: (ა) შესაძენი კომპანიის, როგორც შესაძენ კომპანიასა და შემძენ კომპანიას შორის, ასევე, მესამე მხარეებთან მიმართებით არსებული ყველა აქტივისა და ვალდებულებების შემძენი კომპანიისთვის გადაცემა;	№1	67.1	ერთი ან მეტი სამეწარმეო საზოგადოება (შემდგომ - მიერთებული სამეწარმეო საზოგადოება), ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე, შეიძლება მიუერთდეს სხვა სამეწარმეო საზოგადოებას (შემდგომ - შემძენი სამეწარმეო საზოგადოება) ამ უკანასკნელისათვის თავისი აქტივებისა და ვალდებულებების სრულად გადაცემის გზით, რის სანაცვლოდაც მიერთებული სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორები მიიღებენ წილებს შემძენ სამეწარმეო საზოგადოებაში.	სშ	
		№1	67.2	ორი ან მეტი სამეწარმეო საზოგადოება (შემდგომ - გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებები), ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე, შეიძლება გაერთიანდეს ახალი სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნების გზით (შემდგომ - გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოება), რომელსაც კანონის ძალით გადაეცემა გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებების მთელი აქტივები და ვალდებულებები, რის სანაცვლოდაც გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებების პარტნიორები მიიღებენ წილებს გაერთიანებულ სამეწარმეო საზოგადოებაში. აქტივების გადაცემა და ვალდებულებების გადასვლა ძალაში შედის ამ კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით ან მე-4-მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.		
	(ბ) შესაძენი კომპანიის აქციონერები ხდებიან შემძენი კომპანიის აქციონერები;	№1	67.1	ერთი ან მეტი სამეწარმეო საზოგადოება (შემდგომ - მიერთებული სამეწარმეო საზოგადოება), ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე, შეიძლება მიუერთდეს სხვა სამეწარმეო საზოგადოებას (შემდგომ - შემძენი სამეწარმეო საზოგადოება) ამ უკანასკნელისათვის თავისი აქტივებისა და ვალდებულებების სრულად გადაცემის გზით, რის სანაცვლოდაც მიერთებული სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორები მიიღებენ წილებს შემძენ სამეწარმეო საზოგადოებაში.	სშ	
		№1	67.2	ორი ან მეტი სამეწარმეო საზოგადოება (შემდგომ - გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებები), ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე, შეიძლება გაერთიანდეს ახალი სამეწარმეო		

				საზოგადოების დაფუძნების გზით (შემდგომ - გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოება), რომელსაც კანონის ძალით გადაეცემა გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებების მთელი აქტივები და ვალდებულებები, რის სანაცვლოდაც გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებების პარტნიორები მიიღებენ წილებს გაერთიანებულ სამეწარმეო საზოგადოებაში. აქტივების გადაცემა და ვალდებულებების გადასვლა ძალაში შედის ამ კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით ან მე-4-მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.		
	(c) შესაძენი კომპანია წყვეტს არსებობას.	№1	75.5	შერწყმის/გაყოფის რეგისტრაციასთან ერთად მიერთებული ან დაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაცია უქმდება.	სშ	
19.2	შემძენ კომპანიაში არცერთი აქცია არ უნდა გაიცვალოს შესაძენ კომპანიაში შეძენის გზით მიღებულ იმ აქციებზე, რომლებსაც ფლობს: (a) თავად შემძენი კომპანია ან ის პირი, რომელიც მისი საკუთარი სახელით, მაგრამ კომპანიის ნაცვლად მოქმედებს; ან	№1	67.6. „ა“	დაუშვებელია შემძენი სააქციო საზოგადოების აქციების მიცემა გაყოფილი/მიერთებული სააქციო საზოგადოების იმ აქციების სანაცვლოდ: ა) რომლის მფლობელია შემძენი სააქციო საზოგადოება ან ის პირი, რომელიც საკუთარი სახელით მოქმედებს შემძენი სააქციო საზოგადოების დავალებით;	სშ	
	(b) თავად შესაძენი კომპანია, ან ის პირი, რომელიც მისი საკუთარი სახელით, მაგრამ კომპანიის ნაცვლად მოქმედებს.	№1	67.6. „ბ“	დაუშვებელია შემძენი სააქციო საზოგადოების აქციების მიცემა გაყოფილი/მიერთებული სააქციო საზოგადოების იმ აქციების სანაცვლოდ: ბ) რომლის მფლობელია გაყოფილი/მიერთებული სააქციო საზოგადოება ან ის პირი, რომელიც საკუთარი სახელით მოქმედებს გაყოფილი/მიერთებული სააქციო საზოგადოების დავალებით.	სშ	
19.3	ზემოაღნიშნული არ მოქმედებს წევრი სახელმწიფოების იმ კანონმდებლობაზე, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებული ოფიციალური პროცედურების შესრულებას შეძენილი კომპანიის მიერ გარკვეული აქტივების, უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემისთვის, რომლებიც უნდა ამოქმედდეს მესამე მხარეებთან მიმართებით. შემძენ კომპანიას უფლება აქვს, თავად განაზოგციელოს ეს ოფიციალური პროცედურები; თუმცა, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობამ შესაძლებელია დაუშვას, რომ შესაძენმა კომპანიამ განაგრძოს აღნიშნული ოფიციალური პროცედურები შეზღუდული პერიოდით, რომელიც, გამონაკლისი				ას	აღნიშნული დებულება მოქმედებს მხოლოდ იმ სახელმწიფოების მიმართ, რომელთა კანონმდებლობაც ითხოვს განსაკუთრებული ოფიციალური პროცედურების შესრულებას შეძენილი კომპანიის მიერ გარკვეული აქტივების, უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემისთვის. ასეთ განსაკუთრებულ ოფიციალურ პროცედურებს ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

	შემთხვევების გარდა, არ შეიძლება განისაზღვროს შერწყმის ძალაში შესვლის თარიღიდან ექვს თვეზე მეტი პერიოდით.					
20	წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით, როგორც მინიმუმ, უნდა განისაზღვროს ის წესები, რომლებიც არეგულირებენ შესაძენი კომპანიის აქციონირების მიმართ, ამ კომპანიის ადმინისტრაციული ან მმართველობითი ორგანოების წევრთა სამოქალაქო პასუხისმგებლობას, შერწყმის მომზადებისა და განხორციელების დროს, ამ ორგანოების წევრთა მხრიდან გადაცდომასთან დაკავშირებით.	№1	112.3	თუ პარტნიორი სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წინაშე მასზე დაკისრებულ არსებით მოვალეობას არ შეასრულებს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, ან ამგვარი მოვალეობის შესრულება მისთვის შეუძლებელი ხდება ან არსებობს სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი, სხვა პარტნიორების მოთხოვნის საფუძველზე სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს გადაწყვეტილება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან მისი გარიცხვის შესახებ.	სშ	
		№1	145.1	მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, პარტნიორთა გადაწყვეტილებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სარჩელის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხვის თაობაზე.		
		№1	145.2	მნიშვნელოვან საფუძვლად ითვლება ისეთი გარემოებები, როცა პარტნიორი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესებს ან მისი პარტნიორად დარჩენა საზიანოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემდგომი საქმიანობისთვის, თუ პარტნიორი წერილობით უშედეგოდ იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ გაფრთხილებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესების დამაზიანებელი ქმედების შეწყვეტისა და შესაძლო გარიცხვის შესახებ.		
		№1	237.1	მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას კოოპერატივის წევრი შეიძლება გაირიცხოს კოოპერატივიდან.		

		№1	237.2	მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს მაშინ, როცა კოოპერატივის წევრმა ბრალეულად დაარღვია მასზე დაკისრებული მოვალეობები და ამით კოოპერატივს მიაყენა ზიანი.		
21	წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით, როგორც მინიმუმ, უნდა განისაზღვროს ის წესები, რომლებიც არეგულირებენ შესაძენი კომპანიის აქციონირების მიმართ იმ ექსპერტების სამოქალაქო პასუხისმგებლობას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან, ამ კომპანიის სახელით, 10(1)-ე მუხლში მითითებული ანგარიშის შედგენაზე, ამ ექსპერტების მხრიდან თავიანთი მოვალეობების შესრულებისას გადაცდომასთან დაკავშირებით.	№2 №2	361.2 394.1	ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.	სშ	
22	1. წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობამ შეიძლება განსაზღვროს შერწყმის გამაბათილებელი წესები მხოლოდ შემდეგი პირობების შესაბამისად: (a) ბათილობა ნაბრძანები უნდა იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე; (b) ის შერწყმა, რომელიც განხორციელდა მე-17 მუხლის შესაბამისად, შეიძლება გამოცხადდეს ბათილად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ განხორციელებულა მათი კანონიერების სასამართლო ან ადმინისტრაციული გამაფრთხილებელი ზედამხედველობა, ან თუ ბათილად ცნობის ეს წესები არ შემუშავდა და დამოწმდა სათანადო სამართლებრივი ფორმით, ან თუ აღმოჩნდა, რომ აქციონერთა კრების გადაწყვეტილება ბათილია ან საცილოა ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით; (c) ბათილად ცნობის თაობაზე საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს იმ თარიღიდან ექვს თვეზე უფრო მეტი ხნის შემდეგ, როცა შერწყმა ძალაში შევიდა იმ პირთან მიმართებით, რომელიც ამტკიცებს ბათილობას, ან თუ სიტუაცია გამოსწორდა;				ას	სახელმწიფოებს არ აქვთ აღნიშნული აზრის გაზიარების ვალდებულება, რადგან დებულება არაიმპერატიული ხასიათისაა.

(d) იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია იმ ნაკლის გამოსწორება, რომლის გამოც საჭირო გახდა შერწყმის გაბათილება, განსჯადმა სასამართლომ პროცესში მონაწილე კომპანიებს უნდა მისცეს ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს სიტუაციის გამოსწორება; (e) გადაწყვეტილება, რომლითაც შერწყმა ბათილად ცხადდება, უნდა გამოქვეყნდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით გაწერილი ფორმით, დირექტივის 2009/101/EC მე-3 მუხლის შესაბამისად; (f) იმ შემთხვევაში, როცა წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა მესამე მხარეს უფლებას აძლევს, გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება, ამ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს იგი მხოლოდ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან ექვსი თვის ვადაში, დირექტივაში 2009/101/EC განსაზღვრული მეთოდით; (g) გადაწყვეტილება, რომლითაც შერწყმა ბათილად ცხადდება, თავისთავად არ მოქმედებს იმ ვალდებულებების შესრულების ვადაზე, რომლებიც გააჩნია შემძენ კომპანიას ან რომლებიც არსებობს ამავე კომპანიასთან მიმართებით და რომლებიც წარმოიშვა ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე და შერწყმის ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ; (h) ის კომპანიები, რომლებიც შერწყმის მხარეებს წარმოადგენდნენ, სოლიდარულად აგებენ პასუხს პუნქტში (g) მითითებული შემძენი კომპანიის ვალდებულებებთან მიმართებით. 2. პირველი პუნქტის (a) პუნქტიდან გამონაკლისის სახით, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, შერწყმის ბათილობის შესახებ ბრძანების გაცემას, თუ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოშია შეტანილი. პირველი პუნქტის ქვეპუნქტი (b) და ქვეპუნქტები (d)-(h) ანალოგიურად ვრცელდება ადმინისტრაციულ ორგანოსთან მიმართებით. ბათილად ცნობის თაობაზე აღნიშნული საქმის წარმოება არ შეიძლება დაწყებულ იქნეს შერწყმის განხორციელების თარიღიდან ექვს თვეზე უფრო მეტი ხნის შემდეგ.					
--	--	--	--	--	--

	3. იმ შერწყმის ბათილობის შესახებ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა, რომელიც გამოცხადებულია ნებისმიერი ზედამხედველობის შემდეგ, სამართლიანობის სასამართლო ან ადმინისტრაციული გამაფრთხილებელი ზედამხედველობის გარდა, არ უნდა შევიდეს ძალაში.					
23	1. წინამდებარე დირექტივის მე-5, მე-6 და მე-7 მუხლები და მე-9-22-ე მუხლები, დირექტივის 2009/101/EC მე-12 და მე-13 მუხლების შეუზღუდავად, ვრცელდება შერწყმაზე ახალი კომპანიის წარმოქმნის მეთოდით. ამ მიზნით, „შერწყმაში მონაწილე კომპანიები“ და „შესაძენი კომპანია“ ნიშნავს კომპანიებს, რომლებიც არსებობას შეწყვეტენ, ხოლო „შემძენი კომპანია“ ნიშნავს ახალ კომპანიას. წინამდებარე დირექტივის 5(2)-ე მუხლის პუნქტი (ა) აგრეთვე ვრცელდება ახალ კომპანიაზე. 2. შერწყმის წინასწარი პირობები, ხოლო თუ ეს პირობები ცალკე დოკუმენტშია შეტანილი, ახალი კომპანიის სადამფუძნებლო აქტი ან სადამფუძნებლო აქტის პროექტი და სადამფუძნებლო დოკუმენტი ან სადამფუძნებლო დოკუმენტის პროექტი უნდა დამტკიცდეს იმ თითოეული კომპანიის აქციონერთა კრებაზე, რომელიც არსებობას შეწყვეტს.	№1	67.2	ორი ან მეტი სამეწარმეო საზოგადოება (შემდგომ - გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებები), ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე, შეიძლება გაერთიანდეს ახალი სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნების გზით (შემდგომ - გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოება), რომელსაც კანონის ძალით გადაეცემა გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებების მთელი აქტივები და ვალდებულებები, რის სანაცვლოდაც გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებების პარტნიორები მიიღებენ წილებს გაერთიანებულ სამეწარმეო საზოგადოებაში. აქტივების გადაცემა და ვალდებულებების გადასვლა ძალაში შედის ამ კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით ან მე-4 მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.	სშ	კანონპროექტი შერწყმის რეგულირებისას არ მიჯნავს ერთმანეთისაგან შერწყმის განსხვავებულ ფორმებს. შესაბამისად, დირექტივის საფუძველზე შემუშავებული მოთხოვნები კანონპროექტით გაერთიანებაზეც ისევე ვრცელდება, როგორც მიერთებაზე.
24	წევრმა სახელმწიფოებმა, თავიანთი კანონმდებლობით რეგულირებულ კომპანიებთან მიმართებით, უნდა გაითვალისწინონ ის ოპერაცია, როდესაც ერთი ან მეტი კომპანია წყვეტს ბიზნეს საქმიანობას და ვალდებულებები წყდება, თუმცა არ მიდის ლიკვიდაციამდე და თავისი ყველა აქტივი და ვალდებულება გადასცენ იმსხვა კომპანიას, რომელიც ფლობს ყველა მათ აქციასა და სხვა ფასიან ქაღალდს, რომლითაც ენიჭებათ საარჩევნო ხმის უფლება აქციონერთა კრებებზე. ეს ოპერაციები რეგულირდება მე-3 თავის დებულებებით. თუმცა, წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა დაუწესონ 5(2) მუხლის ქვეპუნქტებში (b), (c) და (d), მე-9 და მე-10 მუხლებში, 11(1) მუხლის ქვეპუნქტებში (d) და (e),	№1	74.2	თუ შემძენი სამეწარმეო საზოგადოება ან მისი დავალებით მოქმედი მესამე პირი მიერთებული სამეწარმეო საზოგადოების მთელ წილებს ფლობს, მასზე არ ვრცელდება ამ კანონის 68-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ - „დ“ ქვეპუნქტებით, 70-ე მუხლის, 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებითა და მე-4 პუნქტით და 72-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები.	სშ	

	19(1) მუხლის (b) ქვეპუნქტში და მე-20 და 21-ე მუხლებში მოცემული მოთხოვნები.					
25	წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა გამოიყენონ მე-7 მუხლი იმ ოპერაციებთან მიმართებით, რომლებიც მითითებულია 24-ე მუხლში, თუ სრულდება შემდეგი პირობები: (a) მე-6 მუხლით გათვალისწინებული გამოქვეყნება, ოპერაციაში მონაწილე თითოეულ კომპანიასთან მიმართებით, უნდა განხორციელდეს ოპერაციის ძალაში შესვლამდე სულ მცირე 1 თვით ადრე; (b) ოპერაციის ძალაში შესვლამდე სულ მცირე 1 თვით ადრე, შემძენი კომპანიის ყველა აქციონერს უნდა მიენიჭოს უფლება, შეამოწმოს 11(1)-ე მუხლის პუნქტებში (a), (b) და (c) მითითებული დოკუმენტები კომპანიის რეგისტრირებულ ოფისში; (c) გამოიყენება მე-8 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტი. ამ მუხლის პირველი პუნქტის (b) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, გამოიყენება მე-11(2)(3)(4) მუხლი.	№1 №1 №1	74.2 74.5 74.6	თუ შემძენი სამეწარმეო საზოგადოება ან მისი დავალებით მოქმედი მესამე პირი მიერთებული სამეწარმეო საზოგადოების მთელ წილებს ფლობს, მასზე არ ვრცელდება ამ კანონის 68-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ - „დ“ ქვეპუნქტებით, 70-ე მუხლის, 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებითა და მე-4 პუნქტით და 72-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული შემძენი სამეწარმეო საზოგადოება გაყოფის/შერწყმის ძალაში შესვლამდე სულ მცირე 30 დღით ადრე ატყობინებს სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორებს გაყოფის/შერწყმის შესახებ იმ წესით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი სამართლებრივი ფორმის პარტნიორთა კრების მოწვევისთვის. შესაბამისად გამოიყენება ამ კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებული გამოქვეყნებისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის წესები. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემძენი სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორს/პარტნიორთა ჯგუფს, რომლის წილი შეადგენს სამეწარმეო საზოგადოების კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტს, ხოლო სოლიდარულ პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კომანდიტურ საზოგადოებაში - თითოეულ პარტნიორს, უფლება აქვს მოითხოვოს პარტნიორთა კრების მოწვევა შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიერთების თაობაზე მიიღება პარტნიორთა კრებაზე. შესაბამისად გამოიყენება ამ კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებული გამოქვეყნებისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის წესები.	სმ	
26	წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, გამოიყენონ 24-ე და 25-ე მუხლები იმ ოპერაციებთან მიმართებით, როდესაც ერთი ან მეტი კომპანია წყვეტს ბიზნესს				ას	სახელმწიფოებს არ აქვთ აღნიშნული აზრის გაზიარების ვალდებულება,

	საქმიანობას და ვალდებულებები წყდება, თუმცა არ მიდის ლიკვიდაციამდე და თავის ყველა აქტივსა და ვალდებულებას გადასცემენ სხვა კომპანიას, თუ 24-ე მუხლში განსაზღვრული შესაძენი კომპანიის ან კომპანიების ყველა აქციასა და სხვა ფასიან ქაღალდს ფლობს შემძენი კომპანია ან/და ის პირები, რომლებიც ამ აქციებს და ფასიან ქაღალდებს ფლობენ საკუთარი სახელზე რეგისტრირების საფუძველზე, მაგრამ ამ კომპანიის სახელით.					რადგან დებულება არაიმპერატიული ხასიათისაა.
27	იმ შემთხვევაში, როცა შეძენის მეთოდით შერწყმას ახორციელებს ის კომპანია, რომელიც ფლობს აქციების და სხვა ფასიან ქაღალდების 90%-ს ან მეტს, მაგრამ არა მათ მთლიან ნაწილს, რომლითაც ხდება შესაძენი კომპანიის ან კომპანიების საარჩევნო ხმის უფლების გადაცემა აქციონერთა კრებებზე, წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა მოითხოვონ შემძენი კომპანიის აქციონერთა კრების მიერ შერწყმის დამტკიცება, თუ სრულდება ქვემოთ მოცემული პირობები: (ა) მე-6 მუხლით გათვალისწინებული გამოქვეყნება, შემძენ კომპანიასთან მიმართებით, უნდა განხორციელდეს შესაძენი კომპანიის ან კომპანიების იმ აქციონერთა კრებისთვის დადგენილ თარიღამდე სულ მცირე 1 თვით ადრე, რომელზეც მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება შერწყმის წინასწარი პირობების შესახებ; (ბ) (ა) ქვეპუნქტში მოცემულ თარიღამდე სულ მცირე 1 თვით ადრე, შემძენი კომპანიის ყველა აქციონერს უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, შეამოწმოს 11(1) მუხლის ქვეპუნქტებში (ა) და (ბ), ხოლო შესაბამის შემთხვევაში, ქვეპუნქტებში (ც), (დ) და (ე) მითითებული დოკუმენტები კომპანიის რეგისტრირებულ ოფისში; (ც) გამოიყენება მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ქვეპუნქტი (ც). ამ მუხლის პირველი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, გამოიყენება 11(2)(3)(4)-ე მუხლი.	№1	74.1	თუ შემძენი სამეწარმეო საზოგადოება მიერთებული სამეწარმეო საზოგადოების წილების სულ მცირე 90 პროცენტს ფლობს, მაგრამ არ ფლობს მთელ წილებს, ამ შემთხვევაში არ ვრცელდება ამ კანონის 68-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა-ბ“ ქვეპუნქტებით და მე-2 პუნქტით, 71-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებითა და 72-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები, თუ პარტნიორებს აქვთ გამოსყიდვის უფლება ამ კანონის 77-ე მუხლით განსაზღვრული წესით.	სშ	
		№1	74.5	ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული შემძენი სამეწარმეო საზოგადოება გაყოფის/შერწყმის ძალაში შესვლამდე სულ მცირე 30 დღით ადრე ატყობინებს სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორებს გაყოფის/შერწყმის შესახებ იმ წესით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი სამართლებრივი ფორმის პარტნიორთა კრების მოწვევისთვის. შესაბამისად გამოიყენება ამ კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებული გამოქვეყნებისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის წესები.		
		№1	74.6	ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემძენი სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორს/პარტნიორთა ჯგუფს, რომლის წილი შეადგენს სამეწარმეო საზოგადოების კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტს, ხოლო სოლიდარულ პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კომანდიტურ საზოგადოებაში - თითოეულ პარტნიორს, უფლება აქვს მოითხოვოს პარტნიორთა კრების მოწვევა შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიერთების თაობაზე		

				მიიღება პარტნიორთა კრებაზე. შესაბამისად გამოიყენება ამ კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებული გამოქვეყნებისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის წესები.		
28	წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა დააწესონ მე- 9, მე-10 და მე-11 მუხლებში მოცემული მოთხოვნები 27-ე მუხლის მნიშვნელობით შერწყმის შემთხვევაში, თუ სრულდება შემდეგი პირობები: (a) შესაძენი კომპანიის აქციონერთა უმცირესობას უნდა მიეცეთ უფლებამოსილება, რომ მათი აქციები შემძენმა კომპანიამ შეიძინოს; (b) თუ ისინი ამ უფლებას ახორციელებენ, ისინი უფლებამოსილნი არიან მიიღონ მათი აქციების ღირებულების შესაბამისი ანაზღაურება; (c) ამ ანაზღაურებასთან დაკავშირებით შეუთანხმებლობის შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს, ანაზღაურების ღირებულების დადგენა სასამართლოს მიერ, ან ამ მიზნით წევრი სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. წევრ სახელმწიფოს არ სჭირდება პირველი აზვაციის გამოყენება, თუ ამ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა შემძენ კომპანიას მიანიჭებს უფლებამოსილებას, კომპანიის მიერთების თაობაზე წინასაჯარო შეთავაზების გარეშე, შესაძენი კომპანიის ან კომპანიების დარჩენილი ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელისგან მოითხოვოს ამ ფასიანი ქაღალდების მისთვის სამართლიანად ფასად მიყიდვა შერწყმამდე.	№1	74.1	1. თუ შემძენი სამეწარმეო საზოგადოება მიერთებული სამეწარმეო საზოგადოების წილების სულ მცირე 90 პროცენტს ფლობს, მაგრამ არ ფლობს მთელ წილებს, ამ შემთხვევაში არ ვრცელდება ამ კანონის 68-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა-ბ“ ქვეპუნქტებით და მე-2 პუნქტით, 71-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებითა და 72-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები, თუ პარტნიორებს აქვთ გამოსყიდვის უფლება ამ კანონის 77-ე მუხლით განსაზღვრული წესით.	სშ	
		№1	77	1. პარტნიორს, რომელმაც კრებაზე ხმა მისცა გარდაქმნის საწინააღმდეგოდ, უნდა მიეცეს კრების ჩატარებიდან 20 დღის ვადა, რათა წერილობით მიმართოს სამეწარმეო საზოგადოებას თავისი წილის გამოსყიდვის მოთხოვნით. 2. პარტნიორებს, რომლებმაც ამ კანონის საფუძველზე მოითხოვეს წილების გამოსყიდვა, სამეწარმეო საზოგადოებამ წილების სანაცვლოდ უნდა გადაუხადოს სამართლიანი ფასი. საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ გამოსასყიდი აქციების გამოსასყიდი ფასის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და აცნობოს პარტნიორს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვადის გასვლიდან 20 დღის განმავლობაში, ხოლო წილების გამოსყიდვის თანხა გადახდილი უნდა იქნეს გამოსასყიდი ფასის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა. რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული სამეწარმეო საზოგადოება რეორგანიზაციიდან 1 წლის განმავლობაში უფლებამოსილია გაყიდოს გამოსყიდული წილები პარტნიორთა უპირატესი შესყიდვის უფლებით, ან მიიღოს გადაწყვეტილება გამოსყიდული წილების გაუქმების თაობაზე. 3. პარტნიორს, რომელიც არ არის თანახმა თავისი წილის გამოსყიდვის ფასზე, წილის გამოსასყიდი ფასის შეტყობინების მიღებიდან 20 დღის ვადაში,		

				შეუძლია მიმართოს სასამართლოს წილის სამართლიანი ფასის დადგენის მოთხოვნით. ამ უფლების გამოყენების შედეგად პარტნიორი კარგავს ყველა უფლებას თავის წილზე, გარდა მის სანაცვლოდ კომპენსაციის სამართლიანი ფასის მიღების უფლებისა. სასამართლო განხილვის დროს რეორგანიზაციის პროცესი არ ჩერდება. 4. თუ სასამართლოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი დაადგენს, რომ პარტნიორის წილის ღირებულება იგივეა, ან ნაკლებია სამეწარმეო საზოგადოების მიერ შეთავაზებულ ღირებულებაზე, დამოუკიდებელი აუდიტორის ხარჯებს აანაზღაურებს პარტნიორი, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ხარჯები დაეკისრება სამეწარმეო საზოგადოებას. თუ სასამართლოს მიერ დადგენილი წილის ფასი სამეწარმეო საზოგადოების მიერ შეთავაზებულ ღირებულებაზე უფრო მაღალია, სამეწარმეო საზოგადოებამ წილები ყველა პარტნიორისგან იმავე მაღალი ღირებულებით უნდა გამოისყიდოს. 5. სამეწარმეო საზოგადოებამ უნდა გამოისყიდოს პარტნიორის წილი სასამართლოს მიერ ღირებულების დადგენიდან 30 დღის ვადაში. 6. სამეწარმეო საზოგადოებასა და პარტნიორებს შორის შეთანხმებით გამოსყიდვის ვადა შეიძლება გაიზარდოს წილის გამოსასყიდი ფასის დადგენიდან არაუმეტეს 3 თვისა.		
29	წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, გამოიყენონ 27-ე და 28-ე მუხლები იმ ოპერაციების მიმართ, როდესაც ერთი ან მეტი კომპანია წყვეტს ბიზნეს საქმიანობას და ვალდებულებები წყდება, თუმცა არ მიდის ლიკვიდაციამდე და თავის ყველა აქტივსა და ვალდებულებას გადასცემენ სხვა კომპანიას, თუ 27-ე მუხლში განსაზღვრული, შესაძენი კომპანიის ან კომპანიების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების 90%-ს ან მეტს, მაგრამ არა მთლიან ნაწილს, ფლობს შემძენი კომპანია ან/და ის პირები, რომლებიც ამ აქციებს და ფასიან ქაღალდებს ფლობენ საკუთარი სახელზე რეგისტრირების საფუძველზე, მაგრამ ამ კომპანიის სახელით.				ას	სახელმწიფოებს არ აქვთ აღნიშნული აზრის გაზიარების ვალდებულება, რადგან დებულება არაიმპერატიული ხასიათისაა.
30	იმ შემთხვევაში, როცა მე-2 მუხლში მითითებული ერთ-ერთი ოპერაციისას, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა უშვებს, რომ ნაღდმა				ას	სახელმწიფოებს არ აქვთ აღნიშნული აზრის გაზიარების ვალდებულება,

	ანგარიშსწორებამ 10%-ს გადააჭარბოს, გამოიყენება მე-3 და მე-4 თავები და 27-ე, 28-ე და 29-ე მუხლები.					რადგან დებულება არაიმპერატიული ხასიათისაა.				
31	იმ შემთხვევაში, როცა წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დაიშვება მე-2, 24-ე და 30-ე მუხლებში მითითებული ერთ-ერთი ოპერაცია, რომლითაც ყველა გადამცემი კომპანია არ წყვეტს არსებობას, გამოიყენება მე-3 თავი, 19(1)(c)-ე მუხლის გარდა, მე-4 თავი ან მე-5 თავი შესაბამისად.				ას	სახელმწიფოებს არ აქვთ აღნიშნული აზრების გაზიარების ვალდებულება, რადგან დებულება არაიმპერატიული ხასიათისაა.				
32	უქმდება დირექტივა 78/855/EEC, რომელშიც ბოლოს შესწორებები შევიდა დანართი I-ის A ნაწილში ჩამოთვლილი აქტებით, წევრი სახელმწიფოების იმ ვალდებულებათა შეუზღუდავად, რომლებიც უკავშირდება დანართი I-ის B ნაწილში მოცემული დირექტივების ადგილობრივ კანონმდებლობაში გადატანისვადებს. გაუქმებული დირექტივის შესახებ მითითებები განიხილება ამ დირექტივის მითითებებზე და უნდა იქნას განმარტებული II დანართში მოცემული კორელაციის ცხრილის გათვალისწინებით.				ას	ეხება დირექტივის გაუქმების საკითხს, რისი კანონმდებლობაში ასახვაც არარელევანტურია.				
33	წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის 2011 წლის 1 ივლისს.				ას	ეხება დირექტივის ძალაში შესვლის თარიღს, რისი კანონმდებლობაში ასახვაც არარელევანტურია.				
34	წინამდებარე დირექტივა ვრცელდება წევრ სახელმწიფოებზე.				ას	ეხება წევრ სახელმწიფოებზე დირექტივის მოქმედებას, რისი კანონმდებლობაში ასახვაც არარელევანტურია.				
დანართი I	ნაწილი A				ას	გაუქმებული დირექტივებისა და შესწორებების შესახებ ცხრილის კანონმდებლობაში ასახვა არარელევანტურია.				
	გაუქმებული დირექტივა და მისი თანმდევი ცვლილებების სია									
	(მითითებულია 32-ე მუხლში)									
	<table><tr><td>საბჭოს დირექტივა 78/855/EEC (OJ L 295, 20.10.1978, გვ. 36)</td><td></td></tr><tr><td>1979 წლის შეერთების აქტის დანართი I, პუნქტი III. C,</td><td></td></tr></table>	საბჭოს დირექტივა 78/855/EEC (OJ L 295, 20.10.1978, გვ. 36)		1979 წლის შეერთების აქტის დანართი I, პუნქტი III. C,						
საბჭოს დირექტივა 78/855/EEC (OJ L 295, 20.10.1978, გვ. 36)										
1979 წლის შეერთების აქტის დანართი I, პუნქტი III. C,										

[illegible]

დირექტვა	ტრანსპოზიციის ვადები
78/855/EEC	13 ოქტომბერი 1981
2006/99/EC	1 იანვარი 2007
2007/63/EC	31 დეკემბერი 2008
2009/109/EC	30 ივნისი 2011

დანართი II	კორელაციის ცხრილი				ას	კორელაციის ცხრილი ეროვნულ კანონმდებლობაში არ აისახება.		
							დირექტივა 78/855/EEC	ეს დირექტივა
							მუხლი 1	მუხლი 1
							მუხლი 2-4	მუხლი 2-4
							მუხლი 5-22	მუხლი 5-22
							მუხლი 23(1)	მუხლი 23(1), პირველი ქვეპუნქტი
							მუხლი 23(2)	მუხლი 23(1), მეორე ქვეპუნქტი
							მუხლი 23(3)	მუხლი 23(2)
							მუხლი 24-29	მუხლი 24-29
							მუხლი 30-31	მუხლი 30-31
							მუხლი 32	—
							—	მუხლი 32
							—	მუხლი 33
							მუხლი 33	მუხლი 34
							—	დანართი I
—	დანართი II							